(დანართი 2)

რექტორის არჩევნებთან დაკავშირებით შექმნილი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილება, არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარების წესი

1. საარჩევნო კომისია პირველ სხდომაზე ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს და მდივანს კომისიის წევრთა ხმათა უმრავლესობით.
2. საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ხელს აწერს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს.
3. საარჩევნო კომისიის მდივანი თავმჯდომარესთან შეთანხმებით ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმს, რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილეობის მსურველ კანდიდატებს, ადგენს არჩევნების შემაჯამებელ ოქმს და ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
4. საარჩევნო ბიულეტენის ფორმას ამტკიცებს საარჩევნო კომისია. საარჩევნო ბიულეტენზე აღინიშნება ასარჩევი კანდიდატების ჩამონათვალი.
5. ხმის მიცემა ხორციელდება საარჩევნო ბიულეტენში კანდიდატის ნომრის შემოხაზვით და ბიულეტენის საარჩევნო ყუთში მოთავსებით.
6. ხმის მიცემის დასრულების შემდეგ, მიმდინარეობს საარჩევნო კომისიის წევრების მიერ თითოეული კანდიდატისათვის მიცემული ხმის რაოდენობის დათვლა, რაც ფიქსირდება საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმში.
7. საარჩევნო ბიულეტენი ჩაითვლება ბათილად თუ:
   ა) საარჩევნო ბიულეტენზე არ აღმოჩნდება კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა;
   ბ) თუ არ არის შემოხაზული არც ერთი კანდიდატი;
   გ) თუ შემოხაზულია ერთზე მეტი კანდიდატი;
   დ) თუ შეუძლებელია გაირკვეს, რომელ კანდიდატს მისცა ხმა ამომრჩეველმა.
8. ხმების დათვლისთანავე ივსება საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი, რომელშიც შეიტანება შემდეგი მონაცემები:
   ა) არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა საარჩევნო სიის მიხედვით;
   ბ) არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა ხელმოწერების მიხედვით;
   გ) საარჩევნო ყუთში აღმოჩენილი საარჩევნო ბიულეტენების საერთო რაოდენობა;
   დ) თოთოეული კანდიდატის მიერ მიღებული ხმების რაოდენობა;
   ე) კომისიის ყველა წევრის ხელმოწერა.
9. საარჩევნო კომისიის შემაჯამებელი ოქმი გადაეცემა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.